ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ72. 722401112**

თარიღი:**11/01/2024**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ეე“ და „ეი“ ქვეპუნქტების, 853 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 854 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინახსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის № 2401 განკარგულების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაეგალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის შესაბამისად.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, 2024 წლის 26 იანვრის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინახასებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ა) ლაშა გოცაძე, მობილურის N 551 70 80 04, ელ.ფოსტა: lasha.gotsadze@chiatura.gov.ge

ბ) დავითი შეყილაძე, მობილურის N 551 93 63 32, ელ.ფოსტა: daviti.shekiladze@chiatura.gov.ge

გ) ტარიელ ჩუბინიძე, მობილურის N 591 04 78 04, ელ.ფოსტა: tariel.chubinidze@chiatura.gov.ge

დ) ირაკლი აბესაძე, მობილურის N 555 11 21 89, ელ.ფოსტა: irakli.abesadze@chiatura.gov.ge

ე) რევაზ ხვედელიძე, მობილურის N 551 33 38 39, ელ.ფოსტა: revaz.khvedelidze@chiatura.gov.ge

ვ) გიორგი ჩიტიძე, მობილურის N 599 43 44 53, ელ.ფოსტა: giorgi.chitidze@chiatura.gov.ge

ზ) ხვიჩა კაპანაძე, მობილურის N 551 76 76 71, ელ.ფოსტა: khvicha.kapanadze@chiatura.gov.ge

თ) როლანდ მოცრაძე, მობილურის N 577 01 78 16, ელ.ფოსტა: rolandi.motsradze@chiatura.gov.ge

ი) გელა ტაბატაძე, მობილურის N 599 41 31 81, ელ.ფოსტა: rezo.labadze@chiatura.gov.ge

კ) ჯაბა ჯაჯანიძე, მობილურის N 595 80 60 83, ელ.ფოსტა: jaba.jajanidze@chiatura.gov.ge

ლ) დავით ხოჯანაშვილი, მობილურის 577 01 78 18, ელ.ფოსტა: davit.khojanashvili@chiatura.gov.ge

მ) შალვა თაბაგარი, მობილურის N 577 01 74 40 , ელ.ფოსტა: shalva.tabagari@chiatura.gov.ge

ნ) ბესიკ ჭიღლაძე, მობილურის N 551 11 63 78 , ელ.ფოსტა: besik.chighladze@chiatura.gov.ge

ო) იოსებ ნოზაძე, მობილურის N 577 01 74 93, ელ.ფოსტა: i.nozadze@chiatura.gov.ge

პ) გოჩა ბიწაძე, მობილურის N 599 29 17 01, ელ.ფოსტა: gocha.bitsadze@chiatura.gov.ge

ჟ) არჩილ ჯაფარიძე, მობილურის N 595 41 16 16, ელ.ფოსტა: a.japaridze@chiatura.gov.ge

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქუჩა №3) დაინტერესებული მხარის მიერ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გივი მოდებაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი